თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-39949-25
06 / 03 20 25

შპს "იდეა ვარკეთილი"-ს დირექტორს
ილია გიორგაძეს

ბატონო ილია,

თქვენი მიმდინარე წლის 13 თებერვლის №02-01-39949-25 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.19.19.009.007) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით შპს "თბილისი ენერჯის" პოზიციის დაფიქსირებას და გენგეგმის დამოწმებას დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს გადის შპს ''თბილისი ენერჯი''-ს კუთვნილი მიწისქვეშა **D=200 მმ-იანი** და **D=160 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები.

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სიახლოვეს განთავსებული მიწისქვეშა D=160 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენის გადატან განხორციელდება მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში.

შპს "თბილისი ენერჯი" თანახმაა აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები. მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით შეთანხმებულ და ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: შეთანხმებულლი გენგეგმა 3 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR

ქ. თბილისი, ალიხანოღლის თემის ტერიტორია ქ. №8,
5897 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გეგმა

ტერა გრაფიკი

სიტუაციური სქემა



4615800
491750

4615800
491600
4615750
491600
01.19.15.009.007
ქ.ა.
ქ.ა.
ქ.ა.

ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. N8,
5897 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

ბ ე ჭ დ ი ს

..\..\Terra_Geo_long_adress_1.tif

სიტუაციური სქემა

.\Topo\TvalWreliZis_8.tif

01.19.19.009.007

4615800
491600
4615750
491750



ტოპოგრაფიული აღნიშვნები

520.79	შენობა
	ბეტონი
	ბაღი
	ტროტუარი
	სერვიტუტი
	სატრანსფორმატორო ჯიხური
	ჯიხური
521.15	შენობის სიმაღლე

521.15	ნაკვეთის საზღვარი
	ასფალტირებული გზა
	ბრუნტის გზა
	ბეტონის ღობე
	ლითონის ღობე
	ხის ღობე
	ელე-გადამცემი ხაზი თელასი
	საკვთასალტორო ბა
ელ.	ბოძი
	ხეები
+	UTM - საკოორდინატო

შპს „ტერაბრაფიკი“		
დირექტორი		შ. ფხაკაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა		ი. თალაკვაძე
აზომვა შეასრულა		ვ. თაფლაძე
დამკვეთი		
მასშტაბი 1:500		4.06.2024

A2 | მასშტაბი / Scale 1:500

ICMA
IDEA CITY & MASSA

ობიექტის დასახელება / Project Title

იდეა ვარკეთილი - მრავალბინიანი საცხოვრებელი

Idea Varketili - Residential Building

მისამართი / Address

თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა / Tbilisi, Tvalchrelidze Street

დამკვეთი / Client

იდეა სითი / Idea City



გზა

სერვიტუტი

საფეხმავლო გზა

A ბლოკი

B და C ბლოკის წარმოსახვითი მიჯნები

შენიშვნა: ტერიტორიაზე არსებული გზა, მოემსახურება, სახანძრო-სამაშველო სამსახურებს.

ხედა / Stage

პროექტირება / Design

თარიღი / Date

კომპ. დირექტორი / Firm Director

ილია გიორგაძე / Ilia Giorgadze

მთავარი არქიტექტორი / Head Architect

ვახტანგ კასრელი / Vakhtang Kasreli

არქიტექტორი / Architect

გიორგი აბაშიძე, გიორგი მუზაშვილი, ლიკა ციწაძე / Giorgi Abashidze, Giorgi Muzashvili, Lika Tsinadze

საავტორო უფლება / Copyright შპს აისიემეი

ნახაზის დასახელება / Drawing Title

გენგეგმა

A2 | მასშტაბი / Scale 1:500

შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერგი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-01-39949-25
06 | 03 | 2025 წ.

მომსახურების ხელშეკრულება

მუხლი 1. პრეამბულა

1.1. ხელშეკრულების გაფორმების ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი.
1.2. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 14 მარტი, 2025 წელი.

1.3. **დამკვეთი:**
1.3.1. სახელწოდება: შპს „იდეა ვარკეთილი“
1.3.2. საიდენტიფიკაციო კოდი: 402288252
1.3.3. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, რაფიელ აგლაძის ქ. N 3, ბ. 29
1.3.4. წარმომადგენელი:
1.3.4.1. პოზიცია: დირექტორი
1.3.4.2. სახელი, გვარი: ილია გიორგაძე

1.4. **შემსრულებელი:**
1.4.1. სახელწოდება: შპს “ელვა2020”
1.4.2. საიდენტიფიკაციო კოდი: 402175668
1.4.3. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბე, აგლაძის 26/1
1.4.4. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
1.4.5. ა.ა.: GE98TB7455336080100009
1.4.6. წარმომადგენელი:
1.4.6.1. პოზიცია: დირექტორი
1.4.6.2. სახელი, გვარი: ნათია ღურწკაია

მუხლი 2. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

2.1. მომსახურება:	დამკვეთის დავალებითა და ანაზღაურების სანაცვლოდ შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს კაბელის გატანის სამუშაოები. გადატანა განხორციელდება თელსის მიერ დამტკიცებული პროექტის საფუძველზე და სათანადო წესით მოპოვებული ნებართვების საფუძველე. შემსრულებელი სრულადაა პასუხისმგებელი ობიექტზე მის მიერ დასაქმებული პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, როგორც ეს არის გათვალისწინებული ხელშეკრულების 6.2.9 პუნქტით და მე-11 მუხლით. შემსრულებელი უპირობოდ, სრულად და შეუზღუდავად აგებს პასუხს მომსახურების ხარისხზე, უნაკლოობასა და მოქმედ კანონმდებლობასთან განუხრელ შესაბამისობაზე. შემსრულებელი დამკვეთს ათავისუფლებს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, რაც შეიძლება დადგეს, განაპირობოს ან/და გამომდინარეობდეს ნაკლიანი, უხარისხო ან/და მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო მომსახურებიდან. ყველა ასეთ შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულები იქნება, აანაზღაუროს ყველა და ნებისმიერი ზიანი / დააკმაყოფილოს ყველა და ნებისმიერი პრეტენზია, რაც შეიძლება მიადგეთ / გაუჩნდეთ მესამე პირებს შემსრულებლის მიერ გაწეული ნაკლიანი, უხარისხო ან/და კანონმდებლობასთან შეუსაბამო მომსახურებიდან გამომდინარე და რომელსაც ისინი წაუყენებენ დამკვეთს, ამასთან შემსრულებელი უფლებამოსილი და ვალდებული იქნება დაიცვას მისი და დამკვეთის უფლებები სასამართლოში და არამხოლოდ, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მისი შესრულებული სამუშაოებიდან.
2.2. მომსახურების გაწევის ადგილი:	მომსახურების გაწევის ადგილს წარმოადგენს: ქ. თბილისი ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. #8 (01.19.19.009.007)
2.3. მომსახურების დაწყებისა და დასრულების თარიღი:	მომსახურება დაიწყება ა ბლოკზე ნებართვის გაცემის თანავე, 2.4 პუნქტით განსაზღვრული ავანსის ჩარიცხვის შემდგომ, და დასრულდება, არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
2.4. ანაზღაურება:	ანაზღაურება შეთანხმებული სამუშაოებისთვის შეადგენს 61 841.22 ლარს დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს, საბანკო ანგარიშსწორების გზით, აუნაზღაუროს მთლიანი თანხის 70% ავანსის სახით; ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების წინ. დარჩენელი თანხის გადახდა მოხდება სამუშაოების დასრულების შემდგომ.

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____

მუხლი 3. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები

3.1. **მომსახურება** - როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების წინა 2.1. მუხლით;

3.2. **ანაზღაურება** - როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების წინა 2.4. მუხლით;

3.3. **ხელშეკრულება** - მხარეთა შორის გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება და მისი დანართები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც მხარეთა მიერ გაფორმდება მომავალში ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე; ხელშეკრულებასა და მის დანართებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები;

3.4. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მათ შორის, რეგლამენტები, წესები, ინსტრუქციები, ნორმები და პირობები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

3.5. **მხარეები და პირები:**

3.5.1. **მხარე** - დამკვეთი ან შემსრულებელი, კონტექსტიდან გამომდინარე;

3.5.2. **მხარეები** - დამკვეთი და შემსრულებელი ერთად;

3.5.3. **მესამე პირი** - ნებისმიერი მესამე ფიზიკური, იურიდიული პირი, ასევე, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის ხელშეკრულების მხარე.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის წესი და პირობები

4.1. დამკვეთის მოთხოვნისამებრ და ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ, შემსრულებელი დამკვეთს გაუწევს მომსახურებას.

4.2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხარეები თანხმდებიან ერთეულის ანაზღაურების მყარ ფორმაზე. დამკვეთთან წინასწარი, წერილობითი შეთანხმების გარეშე, ანაზღაურების გაზრდა დაუშვებელია.

4.3. შემსრულებელი ვალდებულია, დამკვეთს პირადად გაუწიოს მომსახურება. დამკვეთთან წინასწარი, წერილობითი შეთანხმების გარეშე, მომსახურების გაწევის ვალდებულების ქვეკონტრაქტით მესამე პირებისათვის სრული ან ნაწილობრივი გადაცემა დაუშვებელია.

4.4. მომსახურების გაწევის ადგილი, დაწყებისა და დასრულების თარიღები (მომსახურების გაწევის ვადა) განსაზღვრულია ხელშეკრულების წინა 2.2.-2.3. მუხლებით. დამკვეთთან წინასწარი, წერილობითი შეთანხმების გარეშე, ხელშეკრულების ამ 4.4. მუხლით მოწესრიგებული პირობების შეცვლა დაუშვებელია.

4.5. შემსრულებელი ვალდებულია, ჩააბაროს დამკვეთს გაწეული მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.6. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების წინა 4.5. მუხლით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, მომსახურების შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეცისრება შემსრულებელს.

მუხლი 5. ანაზღაურების წესი და პირობები

5.1. შემსრულებლის მიერ მომსახურების სრულად და დროულად გაწევისათვის, დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის ანაზღაურებას ხელშეკრულების წინა 2.4. მუხლით განსაზღვრული ოდენობით.

5.2. ანაზღაურება გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგი წესით:

5.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება გადაიხდება ხელშეკრულების წინა 4.5. მუხლით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან და შემსრულებლის მიერ დამკვეთის სახელზე გამოწერილი შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. შემსრულებლის მიერ მომსახურების გაუწევლობის ან არაჯეროვანი (ხარვეზით) გაწევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია, ხელი არ მოაწეროს ხელშეკრულების წინა 4.5. მუხლით განსაზღვრულ მიღება-ჩაბარების აქტს, არ გადაიხადოს ანაზღაურების ხელშეკრულების წინა 5.2.1. პუნქტით განსაზღვრული ნაწილი და მოითხოვოს შემსრულებლისგან უკვე გადახდილი ავანსის უკან დაბრუნება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.4. ანაზღაურების ოდენობა დადგენილია ხელშეკრულებით და გაზრდას არ ექვემდებარება.

მუხლი 6: შემსრულებლის განცხადებები და გარანტიები

6.1. **შემსრულებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ:**

6.1.1. წინასახელშეკრულებო ეტაპზე, შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მიწოდებული ინფორმაცია არის სრული, სწორი და უტყუარი;

6.1.2. აღჭურვილია ისეთი ცოდნით, კვალიფიკაციითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით, რაც საჭირო და აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად გასაწევად;

6.1.3. არ არსებობს ისეთი ფაქტი, გარემოება ან/და ინფორმაცია, რომელიც შემსრულებელმა დაუმალა დამკვეთს და, რომლის ცოდნის შემთხვევაშიც, დამკვეთი შემსრულებელთან არ გააფორმებდა ხელშეკრულებას ან გააფორმებდა მას განსხვავებული შინაარსით/პირობებით;

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____

6.1.4. აღჭურვილია სრული და შეუზღუდავი უფლებით, მოპოვებული აქვს ყველა ნებართვა, ლიცენზია, სერტიფიკატი ან/და თანხმობა, რაც საჭირო და აუცილებელია ხელშეკრულების გასაფორმებლად ან/და მომსახურების გასაწევად.

6.2. შემსრულებელი კისრულობს უპირობო ვალდებულებას და იძლევა უპირობო გარანტიას, რომ:

6.2.1. გაუწევს დამკვეთს მომსახურებას პირადად, კეთილსინდისიერად, ცოდნისა და გამოცდილების, პროფესიული უნარ-ჩვევების საუკეთესო გამოვლინებით; ასევე, დროულად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს ყველა ისეთ ვალდებულებას, რაც, დამკვიდრებული პრაქტიკით, საჭირო და აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად გასაწევად მიუხედავად იმისა, ასეთი ვალდებულება ზუსტად და კონკრეტულად მითითებული არის თუ არა ხელშეკრულებაში;

6.2.2. დამკვეთისათვის გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო (ნივთობრივად და უფლებრივად) და თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებისაგან;

6.2.3. გაუფრთხილდება დამკვეთის ან/და დამკვეთთან დაკავშირებული სხვა პირების ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს; შესაძლებლობის ფარგლებში, მიიღებს ყველა გონივრულ ზომას, რათა დაიცვას ხელშეკრულების ამ 6.2.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები ნებისმიერი სახის ხელყოფისაგან; დაუყოვნებლივ შეატყობინებს დამკვეთს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ადამიან(ებ)ის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ხელშეკრულების ამ 6.2.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს;

6.2.4. განუხრელად დაიცავს და შეასრულებს მომსახურების გაწევის ადგილზე კანონმდებლობით ან/და დამკვეთის მიერ დადგენილ ჰიგიენურ, სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების, გარემოსდაცვით წესებსა და ნორმებს და დამკვეთის შესაბამის მითითებებს;

6.2.5. შემსრულებლის შესახებ დამკვეთთან არსებულ ნებისმიერ ინფორმაციაში/მონაცემში, მათ შორის, პერსონალურ ან/და საკონტაქტო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს დამკვეთს ასეთი ცვლილ(ებ)ის შესახებ;

6.2.6. ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტისთანავე:

6.2.6.1. სრულად დაუბრუნებს დამკვეთს შემსრულებელთან არსებულ ისეთ ქონებას, დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას, რომელიც ეკუთვნის დამკვეთს და, რომელიც შემსრულებელს გადაცემული ჰქონდა მომსახურების გასაწევად ან/და მასთან დაკავშირებით;

6.2.6.2. სრულად გადაიხდის/დაფარავს დამკვეთის მიმართ შემსრულებლის სახელზე რიცხულ ნებისმიერ დავალიანებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6.2.6.3. სრულად გადასცემს დამკვეთს ან/და, დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, გაანადგურებს შემსრულებელთან არსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციიის ელექტრონული სახით არსებულ ყველა და ნებისმიერ მატარებელს;

6.2.7. დაუყოვნებლივ, სრულად აუნაზღაურებს დამკვეთს ყველა და ნებისმიერ ზიანს, რომელიც დამკვეთს შეიძლება მიადგეს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერი დარღვევით;

6.2.8. სრულად ათავისუფლებს დამკვეთს პუხისმგებლობისა და გასაწევი/გაწეული ხარჯებისგან (მათ შორის, სასამართლოს ან/და ადვოკატის ხარჯებისგან) და თვითონ გამოვა მოპასუხედ ყველა იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მესამე პირი, შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, რაიმე პრეტენზიით მიმართავს დამკვეთს, მათ შორის, დამკვეთისაგან მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ან/და რაიმე საზღაურის/კომპენსაციის გადახდას.

6.2.9. უზრუნველყოფს მომსახურების უშუალოდ გამწევ პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევას ან/და თვითონ იქნება პასუხისმგებელი ასეთ პირთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფაზე და მისგან გამომდინარე ნებისმიერ ზიანსა თუ ზარალზე როგორც შემსრულებლის, ისე დამკვეთის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

6.3. შემსრულებელი დამკვეთს ანიჭებს გამოუხმობად, უპირობო, სრულ და შეუზღუდავ უფლებას:

6.3.1. შემსრულებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ მესამე პირთან და ნებისმიერ დროს, გადაამოწმოს წინასახელშეკრულებო ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია;

6.3.2. ნებისმიერი ფორმით, მეთოდითა და მიზნით, დაამუშაოს და შეინახოს, ასევე, საჭიროებისამებრ, გამოიყენოს შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის გაცხადებული ნებსიმიერი ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები;

6.3.3. შემსრულებლისათვის გადასახდელი ნებისმიერი თანხიდან დაქვითოს/დააკავოს დამკვეთის მიმართ შემსრულებლის სახელზე რიცხული ნებისმიერი ფულადი ვალდებულება;

6.3.4. შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევისას შექმნილი ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემი, ნივთი, ობიექტი, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, დამკვეთმა გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი ფორმით, ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე ისე, რომ შემსრულებელს არ აქვს და მომავალში არ ექნება რაიმე

პრეტენზია/მოთხოვნა დამკვეთის მიერ ხელშეკრულების ამ 6.3.4. პუნქტით განსაზღვრული სიკეთეების ნებისმიერი ფორმით/მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე;

6.3.5. ნებისმიერ დროს, შემსრულებელთან შეთანხმების გარეშე, შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა, ფორს მაჟორი

7.1. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხარეები თანხმდებიან, რომ:

7.1.1. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებენ სრულად და ჯეროვნად, ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

7.1.2. კეთილსინდისიერად დაიცავენ ხელშეკრულებას, წინასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და პოსტსახელშეკრულებო ურთიერთობისას მიღწეულ ყველა შეთანხმებას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებსა და ინტერესებს.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარის პასუხისმგებლობა დგება ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, შემსრულებლის მიმართ დამკვეთის შესაძლო პასუხისმგებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში, შემოიფარგლება დამკვეთის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებლისათვის გადახდილი თანხების ჯამური ოდენობით, რასთან დაკავშირებითაც შემსრულებელს არ აქვს და მომავალში არ ექნება რაიმე პრეტენზია.

7.3. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, დამკვეთი უფლებამოსილია და არა ვალდებული, მოითხოვოს, ხოლო დამკვეთის ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია, გადაუხადოს დამკვეთს პირგასამტეხლო ანაზღაურების საორიენტაციო ჯამური ოდენობის 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, დარღვევის აღმოფხვრამდე. ამასთან, შემსრულებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლო დაიანგარიშება დარღვევის პირველივე დღიდან, მიუხედავად დამკვეთის მიერ პირგასამტეხლოს მოთხოვნის თარიღისა. დამკვეთი უფლებამოსილია, შემსრულებლისათვის შეტყობინების გარეშე, შემსრულებლისათვის გადასახდელი ანაზღაურებიდან დააკავოს/გამოქვითოს შემსრულებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხები; პირგასამტეხლოების გადახდა შემსრულებელს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულად და ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, პანდემია, აჯანყება, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი (ფორს-მაჟორული გარემოებები). მხარე, რომელსაც შეეხება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები, ვალდებულია მეორე მხარეს გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

7.5. ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის დასრულებისთანავე, მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტ ხანს გაგრძელების შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, წერილობითი შეტყობინებით, შეწყვეტის ერთკვირიანი ვადის დაცვით, ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტა

8. ხელშეკრულება ძალაშია მისი გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულების ენა, გამოსაყენებელი სამართალი; დავების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა შესრულდეს ხელშეკრულების ენაზე.

9.2. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

დამკვეთი: შემსრულებელი:

10.1. ხელშეკრულების შინაარსი, მისი ყველა პირობა და დებულება შეთანხმებულია მხარეთა მოლაპარაკების გზით და შედეგად, სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას და მხარეები ხელშეკრულებას ხელს აწერენ ყოველგვარი, როგორც რომელიმე მხარის, ისე ნებისმიერი მესამე პირის მიერ იძულების, ზემოქმედების, მოტყუების ან/და შეცდომაში შეყვანის გარეშე.

10.2. მხარე უფლებამოსილი არ არის, ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირ(ებ)ს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3. ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება არის თანაბარი იურიდიული ძალის და სავალდებულო შესასრულებლად, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი განთავსების ადგილისა. ხელშეკრულების მუხლების სათაურები, ნუმერაცია და მათი განლაგება/თანმიმდევრობა ემსახურება შესაბამის პირობაზე/დებულებაზე მითითების გამარტივების მიზანს და გავლენას არ ახდენს თვითონ პირობის/დებულების იურიდიულ ძალზე ან/და ინტერპრეტაციაზე.

10.4. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების ყველა ცვლილება ან/და დამატება უნდა შესრულდეს მარტივი ან რთული წერილობითი ფორმით.

10.5. მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებაში მითითებული საკონტაქტო რეკვიზიტები შეესაბამება სინამდვილეს და არის მოქმედი. საკონტაქტო რეკვიზიტებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ასეთი ცვლილების შესახებ.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემსრულებელს, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს.

დამკვეთი:

შემსრულებელი:

საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა:

ს/ქ #8822-დან ს/ქ #8845-ის, ს/ქ #8822-დან ს/ქ #T74-ის, ს/ქ #8822-დან ს/ქ #A1324-ის დამაკავშირებელი 6კვ ძაბვის, ასევე 0,4კვ ძაბვის კაბელების მონაკვეთების გადატანის

მუშა პროექტი

მისამართი – ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. #8

დამკვეთი: შპს „იდეა ვარკეთილი“

შემსრულებელი: შპს „ელვა 2020“

თბილისი
2024 წელი

სარჩევი

განმარტებითი ბარათი....3

პროექტით შერჩეული კაბელის ტექნიკური მახასიათბლები....4

კაბელის გაღუნვის რადიუსი....5

ქურო საბოლოო (შიდა დაყენების) ПКВТО-3-10/***....6

ქურო შემაერთებელი ПСТО-10/3х***....7

დამიწების არმატურა ЕАКТ 165*....7

ქურო შემაერთებელი ПСТТ/4Х***....7

0,4კვ კაბელის ტექნიკური მახასიათებლები....8

ქურო საბოლოო 1ПКВТпН....8

გოფრირებული მილის მახასიათებლები....9

10კვ ძაბვის საკაბელო არხის მოწყობა....10

მიწის მოცულობითი სამუშაოები 1 კაბელისთვის....13

მიწის მოცულობითი სამუშაოები 2 კაბელისთვის....14

მასალა-მოწყობილობების სპეციფიკაცია....15

მითითებანი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე....16

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე მუშა პროექტი – ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. #8-ში (ს/კ. 01.19.19.009.007) მდებარე შპს „იდეა ვარკეთილი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთში განსახორციელებელ სამშენებლო სამუშაოების გამო ს/ქ #8822-სა და ს/ქ #8845-ის, ს/ქ #8822-სა და ს/ქ #T74-ის, ასევე ს/ქ #8822-სა და ს/ქ #A1324-ის დამაკავშირებელი 6კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა, ამასთან ერთად ს/ქ #8822-დან გამავალი 0,4კვ ძაბვის ერთი ცალი საკაბელო ხაზის გადატანა – დამუშავებულია სს „თელასი“-ს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

პროექტით გათვალისწინებულია:

- **ს/ქ #8822-სა და ს/ქ #8845-ის მიმართულება:** 6კვ ძაბვის საპროექტო საკაბელო ხაზის სამონტაჟოდ პროექტით გათვალისწინებულია ალუმინის სამფაზა - NA2XSEY 6/10kV 3*240 RM/50 კაბელის ჩადება სიგრძით 175 მეტრი.
- **ს/ქ #8822-სა და ს/ქ #T74-ის მიმართულება:** 6კვ ძაბვის საპროექტო საკაბელო ხაზის სამონტაჟოდ პროექტით გათვალისწინებულია ალუმინის სამფაზა - NA2XSEY 6/10kV 3*150 RM/35 კაბელის ჩადება სიგრძით 145 მეტრი.
- **ს/ქ #8822-სა და ს/ქ #A1324-ის მიმართულება:** 6კვ ძაბვის საპროექტო საკაბელო ხაზის სამონტაჟოდ პროექტით გათვალისწინებულია ალუმინის სამფაზა - NA2XSEY 6/10kV 3*150 RM/35 კაბელის ჩადება სიგრძით 70 მეტრი.
- ობიექტის დამაკავშირებელი ასფალტირებული სავალი ნაწილის გადაკვეთისას საპროექტო კაბელი მოთავსდეს პლასტმასის გოფრირებულ PEND-110 მმ SN8 დიამეტრის მილში - 10 მეტრი.
- პროექტით განსაზღვრულია ს/ქ #8822-დან გამომავალი ერთი ცალი დაბალი ძაბვის კაბელის გადატანა АВВГ-1 4*150 მმ2 – სიგრძით 80 მეტრი.
- ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შესრულდეს “ПУЭ”-ს შესაბამისი პუნქტების დაცვით. ყველა ელ. დანადგარი უნდა იყოს დამიწებული და დანულებული. დამიწების წინაღობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ომს.
- ასაშენებელი ხაზის ტრასა შეთანხმდეს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთან.

საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის დროს დაცული იქნას “ელექტრომოწყობილობების მოწყობის წესების”, “ტექნიკური ექსპლოატაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების” მოთხოვნები ელექტროდანადგარებთან მუშაობისას.

პროექტით შერჩეული კაბელის ტექნიკური მახასიათბლები

სს „თელასი“-ს მიერ გაცემული ტექნიკური პირობის შესაბამისად 6კვ ეგხ-ს საკაბელო ხაზის ტრაექტორიის ცვლილების შემთხვევაში უნდა შესრულდეს ტექნიკური პირობით განსაზღვრული პირობა და ჩაიდოს არსებულის შესაბამისი კვეთის კაბელი, რაც აკმაყოფილებს ძაბვის კარგვისა და დატვირთვის ნორმებს საპროექტო მიმართულებაზე.

შევარჩიეთ ალუმინის სამფაზა - NA2XSEY 6/10kV კაბელი.

ალუმინის ცალფაზა კაბელებით შეკერილი პოლიეთილენის (XLPE) იზოლაციით, გაძლიერებული გარსაცმით მექანიკური დაცვის ამაღლების მიზნით და ორმაგი ჰერმეტიზაციით. სტანდარტი: ГОСТ Р МЭК 60840-2011, МЭК 60500-2005, ГОСТ Р 55025-2012.

ნომინალური ძაბვა: 10კვ. მაქსიმალური ძაბვა 12 კვ. NA2XSEY 6/10kV მმ2.



ალუმინის სამძარღვა კაბელი სტანდარტი DIN VDE 0276-620; IEC 60502; IEC 60332-1; HD 620 S1: 1996; DIN EN 60228 class 2 (construction)						
კაბელის მარკა	ნომინალური კვეთი მმ^2	ეკრანის კვეთი მმ^2	გარე გარსაცმის სისქე	გარე დიამეტრი, მმ	წონა კგ/კმ	ნომინ. დენი, ა მიწაში/ჰაერში
NA2XSEY 10 kV	3X150 RM/35	35	2,9	55	4000	260/309
NA2XSEY 10 kV	3X240 RM/50	50	2,6	65	5640	340/415

შერჩეული კაბელის მარკა : NA2XSEY **10 kV (გრძივი და განივი გერმეტიზაცით).**

1. უჟანგავი ალუმინის გამტარი;
2. შიდა ნახევრად გამტარი ფენა;
3. XLPE იზოლაცია (შეკერილი პოლიეთილენის);
4. გარე ნახევრად გამტარი ფენა;
5. ნახევრად გამტარი ფირფიტა;
6. სპილენძის მავთულის ეკრანი;
7. გაჟღენთილი ფირფიტა;
8. პოლიეთილენით დაფარული ალუმინის ფირფიტა;
9. პოლიეთილენის გაძლიერებული გარე გარსაცმი.

კაბელის მაქსიმალურად დასაშვები ძაბვა

ნომინალური ძაბვა	მაქსიმალური ძაბვა	იმპულსური გამოსაცდელი ძაბვა
10 კვ	12 კვ	75 კვ

კაბელის გაღუნვის რადიუსი

სამფაზა პოლიმერული (XLPE) იზოლაციით შეკერილი კაბელის გაღუნვის რადიუსი: R=15XD.

გაღუნვისას კაბელის გასაღუნი მონაკვეთი უნდა გათბეს 300 °C - მდე.

კაბელის ჩადებისას სპეციალური ტექნიკის გამოყენებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაბელის დასაშვებ დაჭიმულობის ძალვას.

ცალფაზა კაბელების ჩადებისას, დამჭიმავი მოწყობილობის საშუალებით, დაჭიმულობის საერთო ძალვა ტოლი უნდა იყოს ერთი კაბელის დაჭიმულობის ძალვის.

P=Sx30 ნ/მმ2 სადაც, S არის ძარღვის კვეთი მმ-ში, ეკრანის გარეშე.

კაბელის მონტაჟის მაქსიმალური ტემპერატურა

(XLPE) იზოლაციით შეკერილი კაბელების ჩადებისას, კაბელის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ -5 °C.

უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში კაბელი 24 საათით უნდა მოთავსდეს 20° C ტემპერატურის სათავსოში ან მოხდეს მისი გათბობა სპეციალური მოწყობილობით.

პროექტში გათვალისწინებულია ერთჯაჭვა ექვსი კაბელის ვერტიკალური განლაგება. კაბელების მიწაში ჯგუფურმა განლაგებამ, დამცავმა გადახურვამ და გარემოს ტემპერატურის ცვალებადობამ შეიძლება საგრძნობლად იმოქმედოს ნომინალური დენის სიდიდეზე, ქვემოთ მოცემულია მაკორექტირებელი კოეფიციენტების ცხრილი.

კაბელების ჩადების (მონტაჟის) პირობები:

- გრუნტის ტემპერატურა - 20□C;
- გრუნტის თერმული წინაღობა - 1.0 KK*m/vt;
- კაბელების განლაგების ფორმა - სამკუთხედი;
- დატვირთვის კოეფიციენტი 1.0 (100%-იანი დატვირთვა).

გარემოს ტემპერატურაზე დამოკიდებული დატვირთვის მაკორექტირებელი კოეფიციენტი

ტემპერატურა, °C	1	0	5	10	15	20	25	30
XLPE იზოლაციით შეკერილი კაბელი	1,11	1,09	1,07	1,05	1,02	1,00	0,98	0,95

ქურო საბოლოო (შიდა დაყენების) ПКВТО-3-10/***

შიდა დადგმულობის დამაბოლოებელი ქურო განკუთვნილია სამმარღვა, ეკრანირებული, პლასტმასის იზოლაციით დამზადებული კაბელისათვის 10/6კვ ძაბვაზე. ლენტისებური ეკრანის დამიწებისათვის გამოიყენება სპეციალური არმატურა, რომელიც ქუროს კომპლექტაციაში არ შედის. L12 მოდიფიკაციის კომპლექტი მოიცავს კაბელურ ჭანჭიკურ დამაბოლოებელს M12 დიამეტრის ჭანჭიკის შესაბამისი ხვრელით და ასევე შესაბამისად L16 - M16 დიამეტრის ჭანჭიკის შესაბამისი ხვრელით.



მინიმალური ძაბვა Uo/U (კვ) 6/10კვ	ძარღვის კვეთი (მმ²)	სიგრძე L=450 მმ	D (მმ)	ქოლგის რაოდენობა
	70-120 150-240	ПКВТО-3-10/70-120 ПКВТО-3-10/150-240	-	-

10 კვ ძაბვის დამაბოლოებელი ქურო

1. უჟანგავი ალუმინის გამტარი;
2. ყვითელი შემავსებელი;
3. საიზოლაციო მილი;
4. იზოლაცია;
5. დამამიწებელი სადენი

დამაბოლოებელი ქუროს სპეციფიკაცია

ნომინალური ძაბვა	კვეთი	ტიპი
10 კვ	95 მმ2, 150 მმ2, 240 მმ2	ПКВТО-3-10/70-120, ПКВТО-3-10/150-240

ქურო შემაერთებელი **ПСТО-10/3х*****



დამიწების არმატურა **ЕАКТ 165***



ქურო შემაერთებელი **ПСТТ/4Х*****



0,4კვ კაბელის ტექნიკური მახასიათებლები



ალუმინის ოთხძარღვა კაბელის სტანდარტი: გოსტი 16442-80 31996-2012, гост 16442-80 | NAYY DIN VDE0276 Part 603						
კაბელის მარკა	ნომინალური კვეთი მმ2	იზოლაციის სისქე მმ2	გარე გარსაცმის სისქე	გარე დიამეტრი მმ2	წონა კგ/კმ	ნომუნალური დენი, ა მიწაში/ჰაერში
АВВГ-1 (4Х150)	4Х150 მმ2	1,6	2,1	39,6	2370	254/254

ქურო საბოლოო 1ПКВТпН



დამაბოლოებელი ქუროს სპეციფიკაცია

ნომინალური ძაბვა	კვეთი	ტიპი
0.4კვ	150 და 240 მმ2	1ПКВТпН-6
0.4კვ	70 და 120 მმ2	1ПКВТпН-5
0.4კვ	16 და 25 მმ2	1ПКВТпН-4М

გოფრირებული მილის მახასიათებლები

კაბელების მიწაში მონტაჟისთვის გათვალისწინებულია ორფენიანი პლასტმასის გოფრირებული პლასტმასის ორფენიანი გოფრირებულ ხისტ მილის (სიხისტის კლასი SN-8).

მისი გარე და შიდა ფენა დამზადებულია HDPE. დაცვის ხარისხია IP 67. მილის მოწოდება ხდება 6 მეტრი სიგრძის მონაკვეთებად, კომპლექტაციაში შედის შემაერთებელი ქურო.

გოფრირებული მილის დიამეტრის ანგარიში ხდება სახელმძღვანელოდან სამრეწველო საწარმოების ელექტრული დანადგარების მონტაჟისთვის (1976 წ) , სწორი მონაკვეთი აღებულია საშუალოდ მეორე ჯგუფის. შესაბამისად შერჩეულია გოფრირებული მილი შიდა დიამეტრით $1,4*Ф_{კაბ} = 1,4*65= 91 \leq 110$



ორფენიანი პლასტმასის გოფრირებული მილი

გოფრირებული მილების სპეციფიკაცია

მილის გარე დიამეტრი	სიხისტის კლასი	მასალის ტიპი	დაცვის ხარისხი	სიგრძე, მეტრი/ცალი
110	SN-8	HDPE	IP 67	6

10 კვ ძაბვის საკაბელო არხის მოწყობა

საკაბელო ხაზის თხრილი უნდა მოეწყოს შემდეგი ნორმებით:

- თხრილის სიგანე შედგება ერთი ზომისგან 350მმ.
- კაბელი უნდა მოთავსდეს თხრილში, რომლის ზედა და ქვედა ფენა იფარება ქვიშით. კაბელის მიწაში ჩადების სიღრმე გეგმიურ ნიშნულამდე უნდა იყოს არანაკლებ 800 მმ.
- კაბელის მექანიკური დაზიანებისაგან დასაცავად, გზის გადაკვეთაზე კაბელების ჩადების სიღრმე 1000 მმ;
- გზის გადაკვეთაზე კაბელის მექანიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად გათვალისწინებულია მისი გატარება SN-8 მარკის DN/ID110 მმ დიამეტრის პლასტმასის გოფრირებულ მილში;
- საკაბელო ეგხ-ს მთელ სიგრძეზე მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ზე თხრილში უნდა ჩაიდოს სასიგნალო (გამაფრთხილებელი) ლენტი ЛСЭ-150 (სიგანე 15 სმ);

სასიგნალო ლენტის მახასიათებლები



1. ლენტის სახეობა – პოლიეთილენი
2. ლენტის სიგანე – 150 მმ
3. ლენტის სისქე -0.6 – 1.0 მმ
4. ლენტის ფერი – წითელი
5. ლენტის გაწყვეტის სიმტკიცე – 15.0 МПА (150КСС/СМ)М
6. ლენტის სიმყიფის ტემპერატურა – არაუმაღლეს 30 ^{0}C
7. მუშაობის დრო – 30 წელი

ისეთ ადგილებში, როგორიცაა გზის გადაკვეთის წერტილები, წყლის არხები, მილები, საკაბელო მიერთებები, მიმართულების შეცვლის ადგილები გამაფრთხილებელი ლენტი განთავსდეს 40 სანტიმეტრ სიღრმეზე პროფილის ზედა ნაწილიდან. დანარჩენი პროფილები გამაფრთხილებელი ლენტის ზემოთ შეივსოს ექსკავაციიდან მიღებული გრუნტით. ნიადაგი დაიტკეპნოს სატკეპნით ისე, რომ ზედაპირი მივიღოთ გლუვი ბზარების გარეშე.

მილები გაიწმინდოს კაბელის დემონტაჟამდე. თითოეული მილის ბოლო შემდგომ უნდა იყოს დალუქული, რათა თავიდან იქნას აცილებული გრუნტის წყლებისა და მწერების შეღწევა.

კაბელის დამცავის მიერთება მიწაზე მოხდეს ორივე ბოლოთი დამამიწებელი სადენის EAKT 1657 და EAKT 1656 მისაერთებელი არმატურით.

10/6კვ ძაბვის კაბელის მოწყობა საკაბელო არხში



10/6კვ ძაბვის კაბელის დამცავ მილში გატარება



10/6კვ მაბვის ოთხი კაბელის მოწყობა საკაბელო არხში



10/6კვ მაბვის ოთხი კაბელის დამცავ მილში გატარება



მიწის მოცულობითი სამუშაოები 1 კაბელისთვის

1	ღორღი	<40	მ3	0	
2	ქვიშა-ხრეშის ნარევი	<40	მ3	0,0	
3	მიწა მინარევების გარეშე ან ქვიშა		მ3	6	
4	ბეტონი		მ3	0,00	
	მოცულობა				
1	ასფალტირებული საფარის აყრა 9-10 სმ		მ2/მ3	0	0
2	ასფალტირებული საფარის აღდგენა 9-10 სმ		მ2	0	
3	ასფალტირებული საფარის აღდგენა 2-3 სმ		მ2	0	
4	დეკორატიული ფილების აყრა/აღდგენა		მ3	0	
5	ბეტონი		მ2/მ3	0,00	0,00
6	ტრანშეის გათხრა III კატეგორიის გრუნტში		მ3	24	
7	საწოლის მომზადება 1 კაბელისათვის		მ/მ3	84	6
8	დამცავი მილის ჩალაგება	D=110	მ	0	
9	კაბელის ჩადება ტრანშეაში		მ	91	
10	კაბელის გატარება დამცავ მილში		მ	0	
11	კაბელის გატარება ქვესადგურში		მ	14	
12	კაბელის გატარება საქრდენზე		მ	0	
13	კაბელის გატარება ხოკერით კედელზე		მ	0	
14	კაბელის გატარება კედელზე		მ	0	
15	კაბელის დაშარვა დამცავი ლენტით		მ	89	
16	გრუნტის შკან ჩაქრა		მ3	18	
17	ღორღის ჩაქრა ტრანშეაში		მ3	0	
18	ქვიშა-ხრეშის ჩაქრა ტრანშეაში		მ3	0	
19	საწოლის მომზ. მიწით მინარევ. გარეშე ან ქვიშით		მ3	6	
20	გრუნტის გატანა		მ3	6	
21	გვირაბული მეთოდი		მ	0	

მიწის მოცულობითი სამუშაოები 2 კაბელისთვის

1	ღორღი	<40	მ3	3	
2	ქვიშა-ხრეშის ნარევი	<40	მ3	0	
3	მიწა მინარევების გარეშე ან ქვიშა		მ3	9	
4	ბეტონი		მ3	0,00	
		მოცულობა			
1	ასფალტირებული საფარის აყრა 9-10 სმ		მ2/მ3	4	0
2	ასფალტირებული საფარის აღდგენა 9-10 სმ		მ2	4	
3	ასფალტირებული საფარის აღდგენა 2-3 სმ		მ2	0	
4	დეკორატიული ფილების აყრა/აღდგენა		მ3	0	
5	ბეტონი		მ2/მ3	0,00	0,00
6	ტრანშეის გათხრა III კატეგორიის გრუნტში		მ3	40	
7	საწოლის მომზადება 2 კაბელისათვის		მ/მ3	130	9
8	დამცავი მილის ჩალაგება	D=110	მ	10	
9	კაბელის ჩადება ტრანშეაში		მ	275	
10	კაბელის გატარება დამცავ მილში		მ	11	
11	კაბელის გატარება ქვესადგურში		მ	0	
12	კაბელის გატარება საყრდენზე		მ	0	
13	კაბელის გატარება ხოკერით კედელზე		მ	0	
14	კაბელის გატარება კედელზე		მ	0	
15	კაბელის დაფარვა დამცავი ლენტით		მ	275	
16	გრუნტის უკან ჩაყრა		მ3	27	
17	ღორღის ჩაყრა ტრანშეაში		მ3	3	
18	ქვიშა-ხრეშის ჩაყრა ტრანშეაში		მ3	0	
19	საწოლის მომზ. მიწით მინარევ. გარეშე ან ქვიშით		მ3	9	
20	გრუნტის გატანა		მ3	13	
21	გვირაბული მეთოდი		მ	0	

მასალა-მოწყობილობების სპეციფიკაცია

	6/10კვ საკაბელო ხაზი		
1	ალუმინის სამძარღვა კაბელი NA2XSEY-10 1(3x240) RM/50	მეტრი	175
2	ალუმინის სამძარღვა კაბელი NA2XSEY-10 1(3x150) RM/35	მეტრი	215
3	შიდა დადგმულობის საკაბელო დამაბოლოებელი ქურო (L=450 მმ) ПКВТО-3-10/150-240	ცალი	2
4	შემაერთებელი ქურო ПСТО-10/3x150-240	ცალი	4
5	დამამიწებელი სადენის მისაერთებელი არმატურა ЕАКТ 1657	კომპ	2
6	სასიგნალო (გამაფრთხილებელი) ლენტი ЛСЭ-150 (სიგანე – 150 mm);	ცალი	364
7	პლასტმასის მილი ∅110	მეტრი	20
8	ღორღი	მ³	3
9	მიწა მინარევების გარეშე, ან ქვიშა	მ³	15

	0,4კვ საკაბელო ხაზი		
1	ალუმინის სამძარღვა კაბელი АВВГ-1(4x150) мм^2	მეტრი	80
2	ქურო საბოლოო 0,4 კვ - 1ПКВТпН-6	ცალი	1
3	ქურო შემაერთებელი 0,4 კვ - ПСТТ/4x150-240	ცალი	1

მითითებანი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე

ნკვ ძაბვის საჰაერო ხაზის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები იყოფა სამ ნაწილად:

- მოსამზადებელი სამუშაოები;
- სამშენებლო – სამონტაჟო;
- გაშვება – გაწყობითი.

მოსამზადებელ სამუშაოებში შედის ტრასის განვლადობის შემოწმება, ტრასასთან მისასვლელი გზების შერჩევა, ტრასის გამოკვლევა და დაკვალვა.

სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები მოიცავს ტრასაზე მასალა/მოწყობილობების მიტანას, მათი მოწყობა უშუალოდ დაყენების ადგილზე და მიწის სამუშაოების შესრულებას მექანიზმებით.

გაიკრას შესაბამისი უსაფრთხოების პლაკატები სატრანსფორმატორო ქვესადგურზე/ტრანშეაზე.

გაშვება გაწყობითი სამუშაოების შესრულებისას უნდა მოხდეს ობიექტის დათვალიერება და თუ ობიექტზე არ აღმოჩნდა დეფექტები ლაბორატორიული შემოწმების ჩატარების შემდეგ ობიექტი დადგეს ძაბვის ქვეშ.

დ ა ნ ა რ თ ი

1. ტრასის გეგმა (ArcGis-ში);

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0709/398/24
09/07/2024

შპს „ელვა 2020“-ის დირექტორს
ქალბატონ ნათია ღურწკაიას

თქვენი 2024 წლის 2 ივლისის #0702/090/24 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ პროექტი განიხილა სს "თელასის" ტექნიკურმა სამსახურმა და შეგიძლიათ განახორციელოთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

1. სამუშაოების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე უნდა მოახდინოთ სს „თელასის" ტექნიკური სამსახურის (შესაბამისი საექსპლუატაციო რაიონის), ასევე შესაბამისი ბიზნეს-ცენტრის ინფორმირება სამუშაოს დაწყების და სავარაუდო დასრულების შესახებ;
2. სამუშაოები უნდა შეასრულოთ სს „თელასის" ტექნიკური სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ;
3. სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორი მამუკა ქობალია

შემსრულებელი:
ზ. მაღალაშვილი
ტელეფონი: (032) 2779999-1-7850

სააქციო საზოგადოება „თელასი“



WGS 84 - ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხოვრებელი შენობა		ბორდიური		ბეტონის ღობე		მიწის ნაკვეთის საზღვარი
ძას	არასაცხოვრებელი შენობა	ა	ასფალტის გზა		მავთულბადის ღობე		მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი
ფ.	ფარდული	...	გრუნტის გზა	გ	გაზი		ხეები, პალმა, ბუჩქი
სათბური	სათბური		რკინიგზა	W	წყალი		ბოძები
ნანგრევი	დანგრეული შენობა		მთავარი იზოჰიფსი		ნაყარი მიწა		განათების ელ. ბოძი
რეზ.	რეზერვუარი	221	იზოჰიფსი სიმაღლით		ჩამოჭრილი გრუნტი		ონკანი, სათვალთვალო ჭა
	თხრილი		ქვის ღობე		ხაზოვანი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით		ხეხილის ბაღი
ტრ.	ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური		ლითონის ღობე		ქარსაცავი ზოლი		
					ცოცხალი ღობე		

დირექტორი			ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. №8 შპს "იდეა ვარკეთილი"-ს მიწის ნაკვეთიდან №01.19.19.009.007 არსებული ქელის გადატანის პროექტი	ფურც. №
შემსრულებელი	შპს "ელვა 2020"			ნახაზი №1



N
1:500
491600
491700
4615800
4615750
4615700
491750
011918006180
011918006181
011918006016
011918006073
011918006015
011918006105
011918006051
011918006051
011918006044
011918006061
011919009017
011919009007
01.19.19.009.007
011919009037
6კვ საკაბელო ქსელი
№8822 - № 1324
NA2XSEY-10 3X 150 RM/ 35
L კაბ =70 მეტრი
ქურო
შემაერთებელი
არს. 6კვ კაბელი - 150 მმ2
ს/ქ № 8822- 1324 -ის მიმართ
არსებული გასაუქმებელი 6კვ
ძაბვის საკაბელო ეგხ - 300მ
ს/ქ 8822
ქურო
შემაერთებელი
არს. 6კვ კაბელი - 150 მმ2
ს/ქ № 8822-074 -ის მიმართ
ქურო
შემაერთებელი
არს. 6კვ კაბელი - 240 მმ2
ს/ქ № 8822-8845 -ის მიმართ
6კვ საკაბელო ქსელი №8822 - №8845
NA2XSEY-10 3X 240 RM/ 50 L კაბ =175 მეტრი
6კვ საკაბელო ქსელი №8822 - №074
NA2XSEY-10 3X 150 RM/ 35 L კაბ =145 მეტრი
493.82
524.70

1:500

ნაკ. №8822-T74

ნაკ. №8822-8845

ნაკ. №8822-A1324

ქუჩის შემაერთებელი

4615800

491600

4615750

491750

493.82 საკ.

497.41

524.70

ნაკ. №8822

ნაკ. №8822-A1324-ის მიმართ არს. ნაკ კაბელზე - 150 მმ2

ნაკ. №8822-T74-ის მიმართ არს. ნაკ კაბელი - 150 მმ2

ნაკ. №8822-8845-ის მიმართ არს. ნაკ კაბელი - 240 მმ2

ნაკ. საკაბელო ხაზი #8822 - #A1324
NA2XSEY-10 3X150 RM/35
$L_{კაბ}$=70 მეტრი

ნაკ. საკაბელო ხაზი #8822 - #8845
NA2XSEY-10 3X240 RM/50 $L_{კაბ}$=175 მეტრი

ნაკ. საკაბელო ხაზი #8822 - #T74
NA2XSEY-10 3X150 RM/35 $L_{კაბ}$=145 მეტრი

სამუშაოს ლოკალიზაციის ადგილზე
ს.ს. თელასის წარმომადგენელი.
სამუშაოების აწარმოების ხელით.
გამწკრივის საკომპრომისო შტრეხები.

ს.ს. თელასის
რაიონული განყოფილება
ტელეფონი 595222240
ქ.ბ.ს. ინჟინერი

WGS 84 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. №8
შპს "ოდეა ვარკეთილი"-ს მიწის
ნაკვეთიდან №01.19.19.009.007 არსებული
ქსელის გადატანის პროექტი

შკრც. №

ნახაზი №1

ELVA 2020 LLC 402175668 შპს 2020


491600
491700
4615800
4615750
4615700
N
1:500
011918006180
011918006181
011918006016
011918006073
011918006015
011919009017
011919009007
011918006105
011918006051
011918006051
011919009037
011918006044
011918006061

საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა:
ს/ქ #8822-დან ს/ქ #8845-ის, ს/ქ #8822-დან ს/ქ #T74-ის, ს/ქ #8822-დან ს/ქ #A1324-ის დამაკავშირებელი 6კვ მაბვის, ასევე 0,4კვ მაბვის კაბელების მონაკვეთების გადატანის

მუშა პროექტი

მისამართი – ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. #8

დამკვეთი: შპს „იდეა ვარკეთილი“

შემსრულებელი: შპს „ელვა 2020“

სს თელასი / JSC Telasi
პროექტი შეთანხმებულია / Project is Agreed
№ 799
თარიღი/Date: 09 / 07 / 2024
თელასი

თბილისი
2024 წელი

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

24 თებერვალი 2025

N 05/649

შპს „იდეა ვარკეთილი“-ს წარმომადგენელს
ბატონ ილია გიორგაძეს
ტელ: 595 148 008

ასლი: „ტავ ურბან საქართველო“-ს

ბატონო ილია,

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში 2025 წლის 17 თებერვლის (რეგ. #660/01) წარმოდგენილი განცხადებებით, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.19.19.009.007 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს, მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე დასაშვებია მაქსიმალური სიმაღლის 35.4 მეტის შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ასევე, გთხოვთ, მშენებლობის დაწყებამდე, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში დამატებით წარმოადგინოთ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 მარტის №106 დადგენილებით დამტკიცებული *„სამოქალაქო საავიაციო უსაფრთხოების მიზნებისთვის განკუთვნილი გეოდეზიური სამუშაოების შესრულების წესის“* დანართი 1-ის შესაბამისად შემუშავებული გეოდეზიური სამუშაოების ანგარიში და ამწეების გამოყენების პირობები - პერიოდი, სიმაღლე, კოორდინატები, ბრუნვის რადიუსი, რათა შესაძლებელი გახდეს დროებით გამოყენებული ამწეების შესახებ ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გამოქვეყნება (როგორც დროებითი დაბრკოლება) და აღნიშნულ შემთხვევაში, მათი ნიშანდება, უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს 31 და 33 მუხლების შესაბამისად.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი



დირექტორი

ხელმძღვანელობა

№ 3549/24-8 "20" 06 2024

შპს „იდეა ვარკეთილი“-ს დირექტორს
ბატონ ილია გიორგაძეს
ტელ: 595148008

ბატონო ილია,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-5777 17/06/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქ. #8-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.19.19.009.007 სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას დადგინდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაციის არსებობა, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე

ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალთრელიძის ქ. N8,
5897 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

ბ ე ბ მ ა



შპს "მაგთიკომი"
№ ED-25/04/04-010
04-04-2025 წ

მაგთიკომი
MAGTICOM

ბატონ დავით ამაშუკელს
(პ/ნ 01008056713)

ბატონო დავით,

თქვენი 2025 წლის 2 აპრილის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ალ. თვალჭრელიძის ქ. #8, ს.კ. 01.19.19.009.007) არ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ./ Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge

www.magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 250404001

Classification: MAGTICOM Confidential



ICMA
IDEA CITY & MASSA

ობიექტის დასახელება / Project Title

იდეა ვარკეთილი - მრავალბინიანი საცხოვრებელი

Idea Varketili - Residential Building

მისამართი / Address

თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა / Tbilisi, Tvalchrelidze Street

დამკვეთი / Client

იდეა სითი / Idea City

- გზა
- სერვიტუტი
- საფეხმავლო გზა
- A ბლოკი
- მისაწვდომი სვლაგეზი

შენიშვნა:
ტერიტორიაზე არსებული გზა, მოემსახურება, სახანძრო-სამაშველო სამსახურებს.

B და C ბლოკი საერთო საძირკველის გამო ერთი შენობაა.

სტადია / Stage

პროექტირება / Design

თარიღი / Date

კომპ. დირექტორი / Firm Director

ილია გიორგაძე / Ilia Giorgadze

მთავარი არქიტექტორი / Head Architect

ვახტანგ კასრელი / Vakhtang Kasreli

არქიტექტორი / Architect

გიორგი აბაშიძე, გიორგი მუზაშვილი, ლიკა ცინაძე / Giorgi Abashidze, Giorgi Muzashvili, Lika Tsinadze

საავტორო უფლება / Copyright შპს აისიემეი

ნახაზის დასახელება / Drawing Title

გენგეგმა

A2 | **მასშტაბი / Scale 1:500**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01250772231**
თარიღი: **18/03/2025**

ადრესატი: შპს იდეა ვარკეთილი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402288252
მისამართი: საქართველო, თბილისი, წყნეთის გზატკეცილი # 2

შ.პ.ს“თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია (01.19.19.009.007) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი”-ს გარე განათების სამსახური წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01250782822**
თარიღი: **19/03/2025**

ადრესატი: შპს იდეა ვარკეთილი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402288252
მისამართი: წყნეთის გზატკეცილი # 2 თვალჭრელიძის ქუჩა #41ა

ბატონო ილია,

შპს „თბილსერვის ჯგუფში“ 17.03.2025 წ. შემოსული (#10/01250763741-62) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი ქ.თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს.კ. 01.19.19.009.007) და განხილული იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ გეგმა. გაირკვა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სანიაღვრე ქსელი არ გადის.

სანიაღვრე დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ სამუშაოები წარმოდგენილი გენ გეგმის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ სანიაღვრე დეპარტამენტთან შესათანხმებლად გენ.გეგმა უნდა წარმოადგინოთ ხელზე.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



ICMA
IDEA CITY & MASSA

ობიექტის დასახელება / Project Title

იდეა ვარკეთილი - მრავალბინიანი საცხოვრებელი

Idea Varketili - Residential Building

მისამართი / Address

თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა / Tbilisi, Tvalchrelidze Street

დამკვეთი / Client

იდეა სითი / Idea City

- გზა
- სერვიტუტი
- საფეხმავლო გზა
- A ბლოკი

შენიშვნა:
ტერიტორიაზე არსებული გზა, მოემსახურება, სახანძრო-სამაშველო სამსახურებს.

B და C ბლოკი საერთო საძირკვლის გამო ერთი შენობაა.

სტადია / Stage

პროექტირება / Design

თარიღი / Date

კომპ. დირექტორი / Firm Director

ილია გიორგაძე / Ilia Giorgadze

მთავარი არქიტექტორი / Head Architect

ვახტანგ კასრელი / Vakhtang Kasreli

არქიტექტორი / Architect

გიორგი აბაშიძე, გიორგი მუზაშვილი, ლიკა ცინაძე / Giorgi Abashidze, Giorgi Muzashvili, Lika Tsinadze

საავტორო უფლება / Copyright შპს აისიემეი

ნახაზის დასახელება / Drawing Title

გენგეგმა

A2 | **მასშტაბი / Scale 1:500**

№ 0625-1073160 D 07.04.2025

შპს „იდეა ვარკეთილი“
ელ.ფოსტა: Data@ideacitg.ge
ტელეფონი: 577 66 55 10

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN25-1055175 დათარიღებული 19/02/2025წ. ქ. თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩის N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი:01.19.19.009.007) ქსელების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

ჩატარებული შურფირების შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ წყალსადენ-წყალარინების ქსელები გაედინება სქემატური ნახაზის ნახაზის მიხედვით, რომლის მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენ-წყალარინების მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე, ხოლო, ღობის მშენებლობის შემთხვევაში წყალსადენის ქსელიდან 3 მეტრამდე მანძილზე და წყალარინების ქსელების შემთხვევაში - 1,5 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

ასევე გაცნობებთ, რომ სამშენებლო ნორმებით და წესებით (2.04.02-84 და II-89-80) სანიტარული დაცვის ზოლში რომელიც განსაზღვრულია სასმელი წყლის რეზერვუარისათვის 30 მ, ხოლო სატუმბო სადგურისათვის 15 მ, მშენებლობა დაუშვებელია.

წყალსადენ-წყალარინების ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით „კომპანია" გამორიცხავს მიწისადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ასევე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შესაძლოა გაედინება „კომპანიის" აბონენტების განშტოებები, რომელთა ზუსტ ტრაექტორიაზე ,,კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს. სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოების პროცესში განშტოების აღმოჩენის შემთხვევაში, ვალდებული ხართ დაიცვათ სამშენებლო ნორმები.

რაც შეეხება გენ. გეგმის შეთანხმებას, საჭიროა ,,კომპანიაში" წარმოადგინოთ გენ. გეგმა, სადაც განსაზღრული და დაცული იქნება დაშორება საპროექტო ობიექტიდან წყალსადენ-წყალარინების ქსელებამდე.

დანართი: სიტუაციური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენ-წყალარინების ქსელების დირექტორის მოადგილე/

საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე

293 11 11 (51 13)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი

IN25-1055175



1:1,200

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

- ჭა კანალიზაცია
- წყალმომარაგების ჭა
- მილი კანალიზაცია
- სამსელი წყლის მილი
- წყამომარაგების გვირაბი

GPS Points

gwp

4/7/2025